www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში

2018

III კვარტალი

24.12.2018

www.geostat.ge

24.12.2018

მშენებლობის ღირებულების ინდექსი საქართველოში
2018 წლის III კვარტალი

მშენებლობის ღირებულების ინდექსი **წინა კვარტალთან შედარებით** შემცირდა 0,5 პროცენტით. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო სამეწარმეო სფეროში მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 2,5 პროცენტიანი კლებით, რამაც -0,68 პროცენტული პუნქტით მოახდინა ზეგავლენა მთლიან ინდექსზე. აღნიშნულ პერიოდში ფასები 0,2 პროცენტით გაიზარდა სამშენებლო მასალებზე, ხოლო 0,4 პროცენტით - ტრანსპორტირებაზე, საწვავსა და ელექტროენერგიაზე.

წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით მშენებლობის ღირებულების ინდექსი შემცირდა 0,7 პროცენტით. ინდექსის შემცირება, ძირითადად, გამოწვეული იყო მშენებლობის დარგში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის 13,4 პროცენტიანი კლებით, რაც -4,21 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ცვლილებაზე. ამავე პერიოდში სამშენებლო მასალებზე ფასების 6,0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, რაც 3,23 პროცენტული პუნქტით აისახა ინდექსის წლიურ ცვლილებაზე. გარდა ამისა, ფასების ზრდა დაფიქსირდა ტრანსპორტირებაზე, საწვავსა და ელექტროენერგიაზე (5,4 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2018 წლის მესამე კვარტალში მშენებლობის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ხარჯების კატეგორიების შესაბამისი წვლილები:

ხარჯების კატეგორიები	2018 წლის II კვარტალთან	წვლილი* კვარტალის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2017 წლის III კვარტალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
სულ	**99.5**	**-0.54**	**99.3**	**-0.66**
სამშენებლო მასალები	100.2	0.14	106.0	3.23
ხელფასები	97.5	-0.68	86.6	-4.21
მანქანა-დანადგარები	100.4	0.02	100.6	0.03
ტრანსპორტირება, საწვავი, ელექტროენერგია	100.9	0.01	105.4	0.06
სხვა ხარჯი	99.7	-0.02	102.9	0.22

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge